# 1951-1952 წლების დეპორტაციების კვალი აჭარის არქივში: ბიუროკრატია, საქმის წარმოება და ლოკალურობა[1]

**დავით ჯიშკარიანი**
*დოქტორანტი, ჰამბურგის ჰელმუტ შმიტდის უნივერსიტეტი,*
*მაქს ვებერის ფონდის საქართველოს ოფისის მკვლევარი*
*ელ. ფოსტა: david.Jishkariani@mws-osteuropa.org*
*ORCID: https://orcid.org/0009-0001-1418-2357*

**ოლეგ ჯიბაშვილი**
*ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი*
*ელ. ფოსტა: oleg.jibashvili@bsu.edu.ge*
*ORCID: https://orcid.org/0009-0007-3453-3920*

**აბსტრაქტი.** სტატიაში მოკლედ არის განხილული საბჭოთა საქართველოში 1940-იანი წლებიდან 1950-იანი წლების დასაწყისამდე განხორციელებული მასობრივი დეპორტაციების ისტორია, მათ შორის 1941 წელს – ეთნიკური გერმანელების, 1944 წელს – ქურთების, აზერბაიჯანელებისა და ე.წ. „თურქი-მესხების“, ხოლო 1949 წელს – ბერძნების, თურქებისა და სხვა ჯგუფების გასახლებათა პროცესები. აღნიშნულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს რეპრესიები განპირობებული იყო როგორც უსაფრთხოების მოტივებით, ასევე საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკით „არასაიმედო“ ელემენტების მიმართ.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ოპერაცია „ვოლნას“ (1951) და მის გავლენას აჭარის მოსახლეობაზე, სადაც დეპორტაციის ძირითად მიზეზად სახელდება საზღვარგარეთ ნათესაური კავშირები და პოლიტიკური უნდობლობა. სტატიაში გამოყენებულია როგორც ცენტრალური, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის მასალები, განსაკუთრებით, ბათუმის რაიონის საფინანსო განყოფილების ფონდის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს დეპორტირებულთა ქონების აღწერისა და შეფასების პროცესს.

დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს ბიუროკრატიულ მიდგომას, ემოციური კომპონენტის არქონას და ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვან როლს ქონების კონფისკაციასა და შეფასებაში. ნაშრომი აჩვენებს, რომ ადგილობრივი არქივები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს რეპრესიების სოციალური და ეკონომიკური შედეგების შესასწავლად. კვლევა ხაზს უსვამს აღნიშნული პერიოდის არასაკმარის შესწავლილობას და შემდგომი მუშაობის საჭიროებას.

**საკვანძო სიტყვები:** საბჭოთა რეპრესიები; დეპორტაცია; აჭარა; 1951–1952 წლები; სპეცგადასახლებულები.

***

**შესავალი.** საბჭოთა ტოტალიტარული სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენდა მასობრივი რეპრესიები, რომლებიც სხვადასხვა ფორმითა და მასშტაბით ვლინ-

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – „ოფიციალური ისტორიიდან გარიყული მეხსიერება: 1951-1952 წლების რეპრესიები აჭარაში“ ფარგლებში. პროექტის შიფრია FR-23-18809

დებოდა მთელი მისი არსებობის მანძილზე. პოლიტიკური კონტროლის განმტკიცებისა და საზოგადოებაზე სრული ზეგავლენის მოპოვების მიზნით, ხელისუფლება სისტემატურად მიმართავდა იძულებით გადასახლებებს, დაპატიმრებებსა და სხვა რეპრესიულ მექანიზმებს. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით მძაფრად აისახა მრავალეთნიკურ რეგიონებზე, სადაც „პოლიტიკურად არასაიმედო“ ჯგუფების იდენტიფიცირება ხშირად ეყრდნობოდა ეთნიკურ, რელიგიურ ან გეოგრაფიულ ნიშნებს. რეპრესიების შესწავლა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ისტორიული სამართლიანობის აღდგენის მიზნით, არამედ საბჭოთა ეპოქის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური დინამიკის გააზრებისთვისაც.

საქართველოს შემთხვევაში, მასობრივი დეპორტაციები და პოლიტიკური წმენდები აქტიური კვლევის საგანია, თუმცა, რიგი მოვლენები კვლავ არასაკმარისადაა შესწავლილი. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1951–1952 წლებში აჭარაში განხორციელებული რეპრესიები, რაც სტალინური ეპოქის ერთ-ერთ ბოლო მასობრივ ძალადობრივ აქტად უნდა განვიხილოთ. აღნიშნული წლების მოვლენები დაკავშირებული იყო როგორც გაზრდილ საგარეო პოლიტიკურ დაძაბულობასთან საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის, ასევე, შიდა პოლიტიკურ უნდობლობასთან სასაზღვრო რეგიონის მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიმართ.

**მეთოდები.** კვლევისას ვიყენებთ საარქივო, ბიუროკრატიული დოკუმენტების ანალიზის მეთოდს, რომელიც გვაძლევს საშუალებას ბიუროკრატიულ საქმისწარმოებას დავაკვირდეთ ადგილობრივ, მიკრო დონეზე და განვსაზღვროთ მისი თავისებურებები, ენა და სპეციფიკა.

**მსჯელობა.** აჭარაში განხორციელებული დეპორტაციები ხასიათდებოდა მიზანმიმართული და ფართომასშტაბიანი ზემოქმედებით ადგილობრივ საზოგადოებაზე, თუმცა, მათი კვლევა დღემდე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომ, აღნიშნული პერიოდის საფუძვლიანი შესწავლა აუცილებელია, რათა სრულად გამოვლინდეს რეპრესიების მექანიზმები, მასშტაბები და მათი გავლენა როგორც ინდივიდებზე, ისე მთლიანად რეგიონის სოციალურ სტრუქტურაზე.

საბჭოთა საქართველოდან 1940-იან წლებში ხელისუფლებისაგან პოლიტიკურად არასანდო ელემენტებად შერაცხული მოსახლეობის ჯგუფების რამდენიმე მნიშვნელოვანი დეპორტაცია განხორციელდა. 1941 წელს მოხდა საქართველოს სსრ-ში მცხოვრები ეთნიკური გერმანელების გასახლება. სხვადასხვა ავტორი განსხვავებულად განსაზღვრავს დეპორტირებულთა რაოდენობას და ის მერყეობს 23 589-სა (Поболь & Полян, 2005, с.283) და 19 186-ს (ალავერდაშვილი, 2008, გვ.52) შორის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჟურნალის – „საარქივო მოამბე“ – მიხედვით გადასახლებული იქნა 5 226 ოჯახი. (ალავერდაშვილი, 2008, გვ.52).

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1944 წლის აპრილში, მოხდა კიდევ ერთი მცირე გადასახლება. ქალაქ თბილისიდან და წალკის, ბორჩალოსა და ყარაიაზის (გარდაბანის) რაიონებიდან გაასახლეს ქურთებისა და აზერბაიჯანელების ერთი ნაწილი, სულ 608 ოჯახი (3240 პირი) (Поболь & Полян, 2005, с.525).

იმავე 1944 წელს, სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის 31 ივლისის სრულიად საიდუმლო ბრძანებით, გადაწყდა საქართველოს სსრ-ს სასაზღვრო ზოლიდან გაესახლებინათ „თურქი-მესხები, ქურთები და ხემშინები“ (Поболь & Полян, 2005, с.525). როგორც ცნობილია, ამ ე.წ. „თურქების“ დიდი უმრავლესობა მუსლიმი ქართველი იყო და მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ ეთნიკური თურქები. გადასახლება გვიან შემოდგომაზე დაიწყო. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო „ბორჯომი-ვალეს რკინიგზის მონაკვეთის მშენებლობის დასრულება“ (Поболь & Полян, 2005, с.524). საბოლოოდ, სწორედ ამ გზით მოხდა მათი დეპორტაცია.

გასახლება, ძირითადად, შეეხო ადიგენის, ახალციხის, ახალქალაქის, ასპინძის, ბოგდანოვკის (ნინოწმინდა) რაიონების მოსახლეობის ზემოთ აღნიშნულ კატეგორიას, განურჩევლად მათი სკკპ(ბ)-სადმი კუთვნილებისა თუ ახალგაზრდული კომკავშირული ორგანიზაციის წევრობისა. ამ

ეტაპზე შედარებით მცირე მასშტაბით შეეხო რეპრესია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი დეპორტაციის აუცილებლობას ასაბუთებდა თურქეთის მონაკვეთზე სახელმწიფო საზღვრის უსაფრთხოების გაუმჯობესების საჭიროებით. ჯამში, დასახელებული რაიონებიდან უნდა გაესახლებინათ „16 700 ოჯახი, 86 000 პირი“ (Поболь & Полян, 2005, с.524).

სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 29 მაისის №221-856 დადგენილებითა და იმავე წლის 20 მაისის სსრკ შსს №00183 ბრძანების საფუძველზე დაიწყო დეპორტაციების ახალი ტალღა.

გადასახლება ეხებოდათ: „საბერძნეთის/თურქეთის ყველა ქვეშევრდომს, საბერძნეთის/თურქეთის ყოფილ ქვეშევრდომებს რომლთაც იმ მომენტისათვის არ გააჩნდათ საბჭოთა მოქალაქეობა, საბერძნეთის/თურქეთის ყოფილ ქვეშევრდომებს, რომლებმაც შემდგომში საბჭოთა კავშირის მოქალაქეობა მიიღეს**.** გადასახლებას ექვემდებარებოდნენ აღნიშნული კატეგორიის პირთა ოჯახების სრულწლოვანი წევრები, იმათ გარდა, რომლებიც ადრე ან იმ მომენტისათვის არ ყოფილან საბერძნეთის მოქალაქეები, ხოლო არასრულწლოვანი წევრები კი სხვა დანარჩენ პირებთან, ანუ თავიანთ ნათესავებთან ერთად იგზავნებოდნენ სპეცგადასახლების ადგილებში“ (ალავერდაშვილი, 2009, გვ.42-46).

საქართველოდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან, კრასნოდარის მხარიდან სამუდამოდ უნდა გადაესახლებინათ: ალტაის მხარეში – დაშნაკთა 3620 ოჯახი (13 000 პირი), ტომსკის ოლქში – თურქების 1500 ოჯახი (5400 პირი), ჯამბულსკის ოლქში – ბერძნების 6000 ოჯახი (21 600 პირი) და სამხრეთ-ყაზახეთის ოლქში – ასევე, ბერძნების 1500 ოჯახი (5400 პირი ) (Поболь & Полян, 2005, с.671).

გასახლებულ ბერძენთა დიდი უმრავლესობა აფხაზეთში ცხოვრობდა. მათ შესახებ ინფორმაცია ინახებოდა აფხაზეთისა ენისა და კულტურის ინსტიტუტში, რომლის კურატორიც იყო ნიკოლა იოანიდი. მას და მის მოღვაწეობას რამდენიმე წერილი მიუძღვნა თომას დე ვაალმა (De Waal, 2010, p.154). თუმცა, ეს ხელნაწერებიც დღემდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობია და ელის გამოქვეყნებას. 1958 წელს ბერძნებმა მიიღეს რეპატრიაციის უფლება და ისინი ეტაპობრივად დაბრუნდნენ საქართველოში.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წინადადებით, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ 1951 წლის 10 აგვისტოს გამოსცა №14133 განკარგულება, რომლის ძალითაც საქართველოს სსრ-დან გასახლებას დაექვემდებარა ირანელების, თურქების და დაშნაკების ის კონტინგენტი, რომელიც 1949 წლის 29 მაისის №2214-856 და 1950 წლის 21 მაისის №727-269 დადგენილებებით განხორციელებული დეპორტაციების დროს არ იმყოფებოდნენ საცხოვრებელ ადგილზე და გადაურჩნენ გადასახლებას. ასეთი აღმოჩნდა 69 ადამიანი (Поболь & Полян, 2005, с.757).

ამდენად, 1940-იან წლებში განხორციელებული მასშტაბური რეპრესიები, რასაც მოსახლეობის მსხვილი ჯგუფების აყრა-გადასახლება მოჰყვა საცხოვრებელი ადგილებიდან და ეს პროცესი ინერციით 1950-იანი წლების დასაწყისამდე გაგრძელდა, საქართველოსაც მტკივნეულად შეეხო. ამ მასობრივი დეპორტაციების ფონზე თითქოს მიიჩქმალა და სათანადო ყურადღების მიღმა აღმოჩნდა 1951-1952 წლების საბჭოური რეპრესიები აჭარაში .

აჭარაში 1951-1952 წლებში ჩატარებული პოლიტიკური წმენდა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი ისტორიკოსების მიერ. არადა ეს იყო სტალინური ეპოქის ერთ-ერთი უკანასკნელი მასობრივი ძალადობრივი აქტი მოსახლეობაზე. აჭარიდან დეპორტირებულთა უმრავლესობისათვის წაყენებულ ძირითად ბრალდებას წარმოადგენდა თურქეთთან კავშირი და იქ ნათესავების ყოლა. როგორც ცნობილია, ამ დროისათვის საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ვითარება უაღრესად დაიძაბა და სასაზღვრო ზოლი გაძლიერებული ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა.

1951-1952 წლების მოვლენების კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს, ისტორიკოს ოთარ თურმანიძეს, რომელმაც საქართველოს სხვადასხვა არქივში, ძირითადად, ყოფილი უშიშროებისა და აჭარის არქივებში იმუშავა ამ საკითხებზე.

1951 წელს იწყება ოპერაცია „Волна“ („ტალღა“), რომლის მიზანი იყო საქართველოდან გაესახლებინათ მეორე მსოფლიო ომში ტყვედ ნამყოფი ადამიანები და მათი ოჯახები, ასევე, ის ოჯახები, რომლებსაც ახლო ნათესავები ჰყავდათ საზღვარგარეთ, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ან მათმა რომელიმე წევრმა დეზერტირობა ჩაიდინა ომის დროს. იყო სხვა მიზეზებიც.

აღნიშნული ოპერაცია მტკივნეულად ჩატარდა აჭარაშიც. სახელმწიფო უშიშროების მასალებში ხშირად ფიგურირებდა ფრაზა „მოღალატე ქართველი აჭარლები“. საქართველოს უშიშროების სამინისტროში დამუშავდა ე.წ. „მავნებლების“ რესპუბლიკიდან გასახლების საკითხი, რაც წარედგინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. იგი მხარს უჭერდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს წინადადებას მოსახლეობის გასახლების თაობაზე. „კ. ჩარკვიანმა 1951 წლის 12 ნოემბერს წერილი გააგზავნა ი. სტალინის სახელზე, რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა ამ „მავნებლური ელემენტების“ საქართველოდან გასახლების აუცილებლობა, რადგან თურმე ისინი ქმნიდნენ საშიშროებას ქვეყნისათვის. კ. ჩარკვიანი მოითხოვდა საქართველოდან 6300 კაცის გასახლებას“ (თურმანიძე, 2019, გვ.556-557).

კანდიდ ჩარკვიანი წერდა, რომ „აჭარაში ცხოვრობენ ემიგრანტებისა და სამშობლოს მოღალატეების მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი არიან კომპრომენტირებულები ანტისაბჭოთა საქმიანობაში წარსულში (საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლები), კონტრაბანდაში (არალეგალურად გადადიან თურქეთში და გადმოდიან), მონაწილეობენ ანტისაბჭოთა პანისლამისტურ ორგანიზაციაში „სედაი მილლეთი“ (ხალხის ხმა), იმალებიან თურქეთში და კავშირი აქვთ ბათუმში თურქეთის კონსულთან“ (თურმანიძე, 2019, გვ.558).

აღნიშნული წერილის შემდეგ, 1951 წლის 29 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველო-თურქეთის საზღვრისპირა რაიონებიდან არასაიმედო მოსახლეობის დეპორტაციის თაობაზე. „ამ დადგენილების მიღების შემდეგ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა „ახალი მავნებლები“ გამოავლინეს, რის შედეგად გასახლებულთა კონტინგენტი 8615 სულამდე (2189 ოჯახი) გაიზარდა“ (თურმანიძე, 2019, გვ.559).

საბოლოო ჯამში, 1951 წელს საქართველოდან გაასახლეს 2581 ოჯახი, სულ 11.450 კაცი. გაცილებით იმაზე მეტი, ვიდრე განსაზღვრული იყო საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 ნოემბრის დადგენილების მიღების მომენტში. უმძიმეს ვითარებაში ჩატარდა მოსახლეობის გასახლება აჭარაში. აქ დეპორტირება განხორციელდა ერთდროულად – 1951 წლის დეკემბრის დასაწყისში და გაგრძელდა 1952 წელსაც. კლიმატური პირობების გამო, დეპორტირებულთა მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად მძიმდებოდა (თურმანიძე, 2019, გვ.559). რაიონული ცენტრიდან ბათუმამდე დეპორტირებულთა ტრანსპორტირება სატვირთო მანქანებით ხდებოდა, თუმცა, სოფლებიდან, სადაც სამანქანო გზების ინფრასტრუქტურა არ იყო, ადამიანები რაიონულ ცენტრამდე ფეხით ჩამოჰყავდათ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველო.**

1951-1952 წლებში აჭარიდან დეპორტირებული მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საქართველოს ცენტრალურ არქივებში (იგულისხმება ყოფილი უშიშროებისა და ეროვნული არქივები) არ არის დაცული. ცნობები გადასახლებულთა შესახებ მოიპოვება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ფონდებშიც. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაცია ფრაგმენტულია, ის კარგად აჩვენებს რეპრესიების მასშტაბებს ადგილობრივ დონეზე და მათ გავლენას

საზოგადოებაზე. ამ კუთხით უნდა გამოვყოთ  იმდროინდელი ბათუმის რაიონის საფინანსო განყოფილების ფონდი P-1038 (ანაწერი №4), სადაც  სახელმწიფო შემოსავლების ინსპექციის მასალებში, რაც მუდმივ შესანახ ერთეულად არის განსაზღვრული, მოიპოვება 1944-1954 წლების უაღრესად საინტერესო ცნობები სპეცგადასახლებულთა საქმეების შესახებ. სამწუხაროდ, აჭარის სხვა რაიონების შესახებ იდენტური მასალების მოძიება არქივებში მკვლევართა ჯგუფმა ვერ შევძელით.

აღნიშნულ ფონდში დაცული დოკუმენტები მოიცავს სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მასალებს. ეს მასალები შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად:

ა) ბათუმის რაიონიდან 1951-1952 წლებში გადასახლებულ მოქალაქეთა ქონების შეფასების შედეგები სასოფლო საბჭოების აღმასკომების მიხედვით;

ბ) ბათუმის რაიონიდან სპეცგადასხლებულ პირთა სია სოფლის საბჭოების მიხედვით და ქონების ჩამონათვალი;

გ) სპეცგადასახლებაში ნამყოფი მოქალაქეების განცხადებები და ჩამორთმეული ქონების ანაზღაურებაზე შეტანილი საჩივრები.

სასოფლო საბჭოს აღმასკომი დეპორტირებულთა კონფისკირებულ ქონებას აღწერდა და აფასებდა. ამ წყაროში არ არის მითითებული ოჯახის წევრთა შემადგენლობა. მიეთითება მხოლოდ ოჯახის ერთი წევრი. კონფისკაციის ოქმი შედგენილია თითოეულ ოჯახზე. ქონების ჩამონათვალი იწყება საცხოვრებელი სახლით და სრულდება საყოფაცხოვრებო ნივთებით ან სოფლის მეურნეობის საწარმოო იარაღით, როგორიცაა ცელი, თოხი ან ნიჩაბი (აღწერაში გამოყენებულია სიტყვა „ლაფათქა“). ქონების ჩამონათვალი დამოკიდებულია გადასახლებული პირის (ოჯახის) მატერიალურ შესაძლებლობებზე. ნივთების აღწერისას აუცილებლად მითითებულია მისი მდგომარეობა: გატეხილი, ძველი, ახალი და ა.შ.

საცხოვრებელი სახლი დეტალურად აღიწერებოდა, რამდენი ოთახი იყო, რა მასალით  აშენებული. ქვით ნაგები სახლები უფრო ძვირად ფასობდა. მნიშვნელოვანი იყო მთლიანად ფლობდა გადასახლებული ამ სახლს, თუ მხოლოდ ნაწილი ეკუთვნოდა მას. კონფისკაცია მის მფლობელობაში მყოფ ნაწილს ეხებოდა და არა სრულიად შენობას. თუ სახლი მშენებარე იყო, მაშინ კონფისკაციას ექვემდებარებოდა სამშენებლო მასალა (ხშირად ფიცრები) და ისიც აღიწერებოდა.

შეფასების დოკუმენტები ივსებოდა პოსტფაქტუმ, ქონების აღწერის აქტებზე დაყრდნობით. დოკუმენტები შევსებულია ერთი ხელწერით, ქართულად და გარკვევით. გადასახლებული ადამიანის სახელის, გვარის და მამის სახელის შემდეგ მითითებულია აღწერილი ქონების რიგითობა და ის დანომრილია. ნაწერი აკურატულია და მთლიანობაში მოწესრიგებული. წერის დროს პრაქტიკულად არაა დაშვებული შეცდომები, რაც გვაფიქრებინებს, რომ შესაბამისმა პირმა მოგროვებული დოკუმენტაცია შემდგომში ერთ საკანცელარიო წიგნში გადაიტანა. გვერდებს შესამჩნევად ეტყობა მკრთალად გავლებული ფანქრის ხაზები, რაც შემვსებ პირს საშუალებსა აძლევდა სტრუქტურულად სწორად შეეტანა  ინფორმაცია.

თუმცა არის მცირედი შეცდომებიც. დროის ხანგრძლივობის გამო რთულია განვსაზღვროთ, შემთხვევით მოხდა მათი დაშვება თუ გამიზნულად. მაგალითად, მევლუდ ალის ძე ქარცივაძეს ხის ძველი, უბრალო სკამი 3 ცალი ჰქონია სახლში და თითო შეუფასებიათ 10 მანეთად. თუმცა, საბოლოო ჯამში, 30 ნაცვლად წერია 10 მანეთი (აჭარის საარქივო სამმართველო [ასს], (1952). ფ. P-1038, ან. 4, ს. 29, გვ. 2). მსგავსი შემთხვევები იშვიათი არ ყოფილა. თავად ტექსტში ვხვდებით ბარბარიზმებს, რომელიც დღეს ლიტერატურულ ქართულში არ გამოიყენება, მაგალითად: ლაფათქა, შკაფი, ატაჟერკა, ტუმბოჩკა, კრაოტი, სკამეიკა, კუშეტკა, სტოლი და სხვა.

გადასახლების მომენტისათვის ოჯახში არსებული ციტრუსი (მანდარინი, ფორთოხალი), სიმინდი, ლობიო და სხვა პროდუქტი მხოლოდ წონით აღირიცხებოდა და მისი ღირებულება არ იყო მითითებული. ციტრუსის ნარგავების აღწერისას კი მათ წლოვანებასაც კი უთითებდნენ, რადგან ეს

მნიშვნელოვანი სექტორი იყო ეკონომიკისათვის. აღწერას, ასევე, ექვემდებარებოდა საქონლის საკვები თივა და ჩალა. აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მათი წონა მუდამ მითითებულია დამრგვალებულიყო ფორმით (400 კგ, 70 კგ და ა.შ). პრაქტიკულად შეუძლებელია, რომ ასეთი სახის პროდუქცია ამდენ დეპორტირებულ ოჯახში ზუსტად მითითებული რაოდენობით ყოფილიყო დაცული. ეს გვაფიქრებინებს, რომ შეფასება ამ შემთხვევაში მიახლოებით ხდებოდა.

შეფასების წიგნში დიდი ყურადღება ეთმობა ციტრუსის ნარგავებს, რომლებზეც პირდაპირ ნადირობაა გამოცხადებული. როგორც ჩანს, ნერგები დეფიციტური იყო და მერე ვინმეს გადასცემდ-ნენ, ან კოლმეურნეობებს დაურიგებდნენ.

აგრეთვე, აღნიშნული საქმეებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როგორ ჰქონდათ სახლი მოწ-ყობილი იმ პერიოდში ადამიანებს, როგორი იყო ავეჯი, რა ნივთებს ფლობდნენ, როგორ იყო სახლი გადახურული და სხვ.

დოკუმენტები ბიუროკრატიული სტილითაა დაწერილი და არ ჩანს ადამიანის ან ემოცია ან ემპათია.

**დასკვნა.** აღნიშნული ლოკალური დოკუმენტები გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ, რომ გადასახლებულთა ქონებით კოლმეურნეობები იყვნენ დაინტერესებული და ისინი ცდილობდნენ რაც შეიძლება აკურატულად აღეწერათ ის, რადგან მათ უნდა გადასცემოდა. ქონების აღწერისა და შეფასების მომენტში კარგად ჩანს სოფლსაბჭოს წარმომადგენლები, რომლებიც საზღვრავდნენ ნივთების ღირებულებას. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში მათი შეხედულება და ძალაუფლება ადგილზე გადამწყვეტი იყო ქონების შეფასებისას. რეპრესირებულთა გეოგრაფიული არეალის გათ-ვალისწინებით სოფსაბჭოს წარმომადგენლებს ადგილზე ბევრი გადაწყვეტილების მიღება შეეძ-ლოთ და ეს მათი პირადი ინიციატივით იქნებოდა ნაკარნახევი და არა ბრძანებით განსაზღვრული.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რეაბილიტაციის პროცესში, როდესაც გადასახლებულთათვის კონპენსაციის გადახდა ხდება, ადგილობრივი ორგანოები მათ უხდიან იმდენს, რამდენადაც აღწე-რილი და შეფასებული იყო მათი ქონება.

ამრიგად, აჭარის არქივებში 1951-1952 წლების დეპორტაციებზე მუშაობა გრძელდება. ადგი-ლობრივი არქივები, ცენტრალური არქივებისგან განსხვავებით, კარგად აჩვენებენ, თუ როგორია გადასახლების პროცესი ადგილობრივად და რა გავლენა აქვს მას კოლმეურნეობებსა და ადგილობ-რივ ძალაუფლების სტრუქტურებზე.

ამ კუთხით მუშაობას კიდევ გავაგრძელებთ.

**ბიბლიოგრაფია:**


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო [ასს]. (1952). *ბათუმის რაიონის საფინანსო განყოფილება. სახშემოსავლების ინსპექცია. სია აჭარისწყლის მცხოვრებლებისა, რომლებიც მოხვდნენ სპეცგადასახლებაში 1952 წელს და ცნობები მათი ქონებრივი შეფასების შესახებ*. ფონდი P-1038, ანაწერი 4, საქმე №29. ბათუმი, საქართველო.

ალავერდაშვილი, დ. (2008). ცნობები ეროვნული ნიშნით გერმანელთა გადასახლების შესახებ. *საარქივო მოამბე*, (2), 50-54. თბილისი.

ალავერდაშვილი, დ. (2009). ბერძნების, თურქების, ირანელებისა და სხვა წარმომავლობის მქონე პირთა გადასახლება 1949-1950 წლებში. *საარქივო მოამბე*, (4), 42-49. თბილისი.

თურმანიძე, ო. (2019). *საბჭოთა რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1952 წლები)*. ბათუმი.

De Waal, T. (2010). *The Caucasus: An Introduction*. Oxford: Oxford University Press.

Поболь, Н. Л., & Полян, П. М. (Сост.). (2005). *Сталинские депортации. 1928-1953* (Серия «Россия. XX век. Документы»). Москва: Издательство «Материк».